

## სავალუტო გარიგების მომსახურების წესები და პირობები

### მუხლი 1. გამოყენებული ტერმინები

#### 1.1 ქვემოთ მოცემულ ტერმინებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობა:

- **ანგარიში** - კლიენტის ნებისმიერი ანგარიში ბანკში;
- **ბანკი** - სს ტერაბანკი ს.კ204546045 მისამართი საქართველო, თბილისი, 0103, ქეთევან დედოფლის გამზირი #3; საბანკო ლიცენზიის #0110245, გაცემული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ;
- **ბანკის კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსი** - ბანკის მიერ ნაღდი და უნაღდო სავალუტო გაცვლითი ოპერაციებისათვის დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსი რომელსაც ბანკი განსაზღვრავს საკუთარი შეხედულებისამებრ ყოველ კალენდარულ დღეს ერთხელ ან რამდენიმეჯერ;
- **განაცხადი** - სავალუტო გარიგების დასადებად ამ პირობებით დადგენილი წესით კლიენტის მიმართვა/დავალება ბანკისადმი, რომელშიც მითითებულია კონკრეტულ სავალუტო გარიგებასთან დაკავშირებით ინფორმაცია;
- **კლიენტი** - პირი, რომელიც სარგებლობს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული მომსახურებით/პროდუქტებით;
- **საქართველოს ეროვნული ბანკი** - ბანკის საზედამხედველო ორგანო ([www.nbg.ge](http://www.nbg.ge)) ამასთან საქართველოს ეროვნული ბანკი არც ერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი ბანკის მიერ ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებაზე;
- **ვებგვერდი** - ბანკის ვებ გვერდი [www.terabank.ge](http://www.terabank.ge);
- **ინტერნეტბანკი** - დისტანციური საბანკო მომსახურების ერთ-ერთი არხი, რომლის მეშვეობითაც კლიენტს შესაძლებლობა აქვს ბანკში გამოუცხადებლად, ბანკის ინტერნეტ გვერდის [www.ebanking.ge](http://www.ebanking.ge) საშუალებით, მიიღოს სხვადასხვა ინფორმაცია და აწარმოოს განსაზღვრული საბანკო ოპერაციები;
- **საბანკო დღე** - კალენდარული დღე, შაბათ-კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეების გარდა, როდესაც ბანკი ღიაა და წარმართავს ჩვეულებრივ საბანკო საქმიანობას;
- **სავალუტო ბაზარი** - სისტემებისა და წესების ერთობლიობა, რომლის მეშვეობით სავალუტო ბაზრის მონაწილეები რეგულარულად დებენ სავალუტო გარიგებებს;
- **სავალუტო გარიგება** - ბანკის მიერ კლიენტთან ან/და სავალუტო ბაზრის სხვა მონაწილესთან ვალუტის გაცვლასთან დაკავშირებით დადებული ნებისმიერი გარიგება;
- **სავალუტო სვოპი** - წინამდებარე პირობებით განსაზღვრული წესით მხარეთა შეთანხმება ვალუტის ერთდროულად ყიდვა და გაყიდვის შესრულებაზე, წინასწარ შეთანხმებული გაცვლითი კურსით, სხვადასხვა ანგარიშსწორების თარიღებზე. სავალუტო სვოპის გარიგების შესრულება კონკრეტული თარიღისთვის სავალდებულოა;
- **სავალუტო ფორვარდი** - წინამდებარე პირობებით განსაზღვრული წესით მხარეთა შეთანხმება ვალუტის ყიდვა-გაყიდვაზე მომავალში, წინასწარ შეთანხმებული გაცვლითი კურსით, წინასწარ შეთანხმებულ თარიღზე/თარიღამდე. ფორვარდული გარიგების შესრულება კონკრეტული თარიღისთვის სავალდებულოა;
- **სპოტ ანგარიშსწორების დღე** - სვოპ გარიგების ფარგლებში მხარეთა მიერ შეთანხმებული ანგარიშსწორების დღე, როდესაც ხდება კლიენტის მიერ სპოტ ანგარიშსწორების თანხის გაყიდვა და შესაბამისად ბანკის მიერ ასეთის შექმნა;
- **სპოტ კურსი** - სვოპ გარიგების ფარგლებში მხარეთა მიერ შეთანხმებული კურსი, რომლითაც ხდება კლიენტის მიერ სპოტ ანგარიშსწორების დღეს სპოტ ანგარიშსწორების თანხის გაყიდვა და შესაბამისად ბანკის მიერ ასეთის შექმნა;
- **სპოტ ანგარიშსწორების თანხა** - სვოპ გარიგების ფარგლებში მხარეთა მიერ შეთანხმებული თანხა,

რომელსაც კლიენტი მიყიდის ბანკს შესაბამის ვალუტაში დადგენილი სპოტ კურსით სპოტ ანგარიშსწორების თარიღზე და ბანკი შეიძენს ასეთს კლიენტისთვის უკუ მიყიდვის პირობით;

- **ფორვარდული ანგარიშსწორების თანხა** - სვოპ ან ფორვარდული გარიგების ფარგლებში მხარეთა მიერ შეთანხმებული თანხა, რომელსაც ბანკი გაყიდის, ხოლო კლიენტი შეიძენს დადგენილი ფორვარდული კურსით, ფორვარდული ანგარიშსწორების დღეს;
- **ფორვარდული ანგარიშსწორების დღე** - სვოპ ან ფორვარდული გარიგების ფარგლებში მხარეთა მიერ შეთანხმებული ანგარიშსწორების დღე, როდესაც ბანკი გაყიდის, ხოლო კლიენტი შეიძენს ფორვარდული ანგარიშსწორების თანხას დადგენილი ფორვარდული კურსით;
- **ფორვარდული კურსი** - სვოპ ან ფორვარდული გარიგების ფარგლებში მხარეთა მიერ შეთანხმებული კურსი, რომლითაც ბანკი მიყიდის, ხოლო კლიენტი შეიძენს ფორვარდული ანგარიშსწორების თანხას ფორვარდული ანგარიშსწორების დღეს;
- **ფორვარდული ანგარიშსწორება** - სვოპ ან ფორვარდული გარიგების ფარგლებში მხარეთა მიერ შეთანხმებული ფორვარდული ანგარიშსწორების დღეს ბანკის მიერ კლიენტისთვის ფორვარდული ანგარიშსწორების თანხის მიყიდვა დადგენილი ფორვარდული კურსით და კლიენტის მიერ ასეთის შექმნა;
- **თარიღის არჩევით სავალუტო ფორვარდი** - სავალუტო ფორვარდი, რომლის ფორვარდული ანგარიშსწორების თარიღს ირჩევს კლიენტი .
- **ფორვარდული გარიგების ვადა** - თარიღის არჩევით სავალუტო ფორვარდის შემთხვევაში კლიენტისთვის განსაზღვრული ვადა, რომლის განმავლობაშიც იგი უფლებამოსილია შეარჩიოს ფორვარდული ანგარიშსწორების დღე, წინააღმდეგ შემთხვევაში ფორვარდული გარიგების ვადის ბოლო დღე ჩაითვლება ფორვარდული ანგარიშსწორების დღედ.
- **უზრუნველყოფის თანხა** - ფულადი თანხა, რომლის ოდენობაც დადგენილია ამ ხელშეკრულებით, რომელიც შესაძლოა პერიოდულად შეიცვალოს ამავე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და რომელიც ბანკს კლიენტის მიერ გადაეცემა ამ ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე ან მის შემდეგ, შიდასაბანკო ანგარიშზე განსათავსებლად (დასაჯავშნად) ამ კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულებით ან/და მის საფუძველზე დადებული სავალუტო გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების საგარანტიოდ;
- **უზრუნველყოფის პროცენტი** - უზრუნველყოფის თანხის პროცენტული გამოხატულება ანგარიშსწორების თანხასთან მიმართებით;
- **შიდასაბანკო ანგარიში** - ბანკის ანგარიში, ანუ ანგარიში რომელიც არ არის კლიენტის საბანკო ანგარიში, რომელზეც განთავსდება უზრუნველყოფის თანხები. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხავად, იმის გამო, რომ შესრულების თანხა არის ბანკზე გადაცემული ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდზე, შიდასაბანკო ანგარიშზე არსებული თანხების ნებისმიერი ფორმით განკარგვა, მათ შორის გასხვისება, დაგირავება, ჩუქება არის შეუძლებელი და დაუშვებელი;
- **უცხოური ვალუტა** - ნებისმიერი ქვეყნის, გარდა საქართველოს, ოფიციალური ფულადი ერთეული;
- **აშშ დოლარი** - ამერიკის შეერთებული შტატების დოლარი, ამერიკის შეერთებული შტატებში დაშვებული და გამოყენებადი ოფიციალური ფულადი ერთეული;
- **ევრო** - ევროპის კავშირში დაშვებული და გამოყენებადი ოფიციალური ფულადი ერთეული;
- **ეროვნული ვალუტა/ლარი** - საქართველოში დაშვებული და გამოყენებადი ოფიციალური ფულადი ერთეული.
- **წინარე ჰეჯირება** - სავალუტო პოზიციის გახსნა ან სხვაგვარი ისეთი ქმედება ან ქმედებათა ერთობლიობა, რომელიც უკავშირდება კლიენტის მოსალოდნელ დავალებას და რომელიც მიზნად არ ისახავს კლიენტისთვის მდგომარეობის გაუარესებას და არ იწვევს სავალუტო ბაზრის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლას.

## მუხლი 2. ზოგადი დებულებები

2.1 წინამდებარე პირობები არეგულირებს ბანკსა და კლიენტს შორის შეთანხმების სავალუტო გარიგებ(ებ)ის დადების წესზე და მის ძირითად პირობებზე;

- 2.2 წინამდებარე პირობებით არ რეგულირდება ბანკის მიერ წინასწარ (გამოქვეყნებული) შეთავაზებული გაცვლითი კურსით დადებული გარიგებები, რომლის აღსრულებაც ხდება დაუყოვნებლივ და რომელზეც ბანკსა და კლიენტს შორის არ მიმდინარეობს გარიგების ფასთან დაკავშირებულ დამატებითი მოლაპარაკებები. ამგვარი გარიგებები რეგულირდება ბანკის საბანკო მომსახურების პირობების შესაბამისად.
- 2.3 თუ კლიენტთან კონკრეტული გარიგების დადებისას ბანკი სხვაგვარად არ განაცხადებს, იგი წინამდებარე პირობების შესაბამისად მომსახურების გაწევისას სავალუტო ბაზარზე მონაწილეობს როგორც პრინციპალი მოვაჭრე, ანუ კლიენტთან სავალუტო გარიგებას დებს საკუთარი სახელით და საკუთარი რისკით. ბანკი ასევე უფლებამოსილია კლიენტის წინასწარი ინფორმირების საფუძველზე კლიენტის დავალების აღსრულების მიზნით, სავალუტო ბაზრის სხვა მონაწილესთან შევიდეს დის სავალუტო გარიგებაში როგორც აგენტი მოვაჭრე, სავალუტო რისკის აღების გარეშე;
- 2.4 გარიგების დადების დროს, ბანკი არ მოქმედებს როგორც კლიენტის ფიდუციარი ან მრჩეველი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი სახის ურთიერთობა წინასწარ არის შეთანხმებული წერილობით. ნებისმიერი დადებული გარიგება, ხორციელდება იმ დაშვებით, რომ კლიენტს შეუძლია იმოქმედოს დამოუკიდებლად და მიიღოს გადაწყვეტილებები საკუთარი ცოდნის, გამოცდილების და მესამე მხარეთა პროფესიონალური რჩევების საფუძველზე.
- 2.5 წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული მომსახურების შესახებ სრულფასოვანი ინფორმაციის მიღების და მომსახურების მიღების მიზნით კლიენტი ვალდებულია გაეცნოს წინამდებარე პირობებს, სრულად შეავსოს და წარადგინოს სათანადო განაცხად(ები) ბანკში ამ პირობებით დადგენილი წესით;
- 2.6 კლიენტი განაცხადის წარმოდგენით ამ/და წინამდებარე ეპირობებში არჩერილი მომსახურებით სარგებლობით კლიენტი ეთანხმება წინამდებარე პირობებს და ბანკთან განაცხადის და პირობების შესაბამისად სავალუტო გარიგების დადებას;
- 2.7 პირობები არ გულისხმობს რომელიმე სავალუტო გარიგების დადებაზე ბანკის თანხმობას. ამგვარი გარიგების დადების საკითხს ბანკი განიხილავს და წყვეტს ამ პირობებით განსაზღვრული წესით.
- 2.8 კლიენტის განაცხადის განხილვის შედეგად ბანკი იღებს გადაწყვეტილებას გაუწიოს თუ არა კლიენტს განაცხადით მოთხოვნილი მომსახურება. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია, გადაწყვეტილების მისაღებად კლიენტს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაციისა და/ან დოკუმენტაციის, მათ შორის კორექტირებული განაცხადის წარდგენა. კლიენტის მიერ განაცხადის შევსება, აგრეთვე დამატებითი დოკუმენტაციის ბანკისათვის წარდგენა არ ავალდებულებს ბანკს გაუწიოს კლიენტს პირობებით გათვალისწინებული მომსახურება;
- 2.9 კონკრეტული სავალუტო გარიგების დადება არის ბანკის დისკრეციული უფლება, შესაბამისად ბანკი უფლებამოსილია უარი თქვას სავალუტო გარიგების დადებაზე ყოველგვარი დასაბუთების გარეშე.
- 2.10 წინამდებარე პირობები და წესები სრულად გავრცელდება ბანკსა და კლიენტს შორის მის საფუძველზე დადებულ სავალუტო გარიგებებზე.
- 2.11 ცალკეული სავალუტო გარიგების არსებითი პირობები განისაზღვრება მხარეთა მიერ დამატებით, ამ პირობებით გათვალისწინებული წესით. აღნიშნული ფორმით შთანხმებული პირობები წარმოადგენს წინამდებარე პირობების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.
- 2.12 წინამდებარე პირობები განთავსებულია და შესაბამისად კლიენტს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს მას ბანკის ვებ გვერდზე.
- 2.13 ყველა სხვა საკითხი რომელიც არ რეგულირდება ან გასხვავებულად არ რეგულირდება წინამდებარე პირობებით, რეგულირდება სს ტერაბანკის საბანკო მომსახურების სტანდარტული პირობებით, რომელიც განთავსებულია ბანკის ვებ გვერდზე და წარმოადგენს წინამდებარე პირობების განუყოფელ ნაწილს, შესაბამისად წინამდებარე პირობებზე თანხმობით, კლიენტი ასევე ადასტურებს, რომ ეთანხმება სს ტერაბანკის საბანკო მომსახურების სტანდარტული პირობებს;

### მუხლი 3. სავალუტო გარიგების დადება, საერთო პირობები

- 3.1 შესაბამისი სავალუტო გარიგების დასადებად კლიენტი ვალდებულია საბანკო დღის 15:00 საათამდე ბანკს წარუდგინოს სათანადო სავალუტო გარიგების დადებასთან დაკავშირებით განაცხადი. საბანკო დღის 15:00 საათის შემდეგ მიღებული განაცხადი ბანკს შეუძლია ჩათვალოს შემდეგ საბანკო დღეს მიღებულად.
- 3.2 განაცხადის წარდგენით კლიენტი ადასტურებს შესაბამისი გარიგების დადების სურვილს და განაცხადითა და ამ პირობებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების ვალდებულებას.
- 3.3 სავალუტე სვოპის და ფორვარდის განაცხადი შესაძლებელია ბანკში წარდგენილ იქნას წერილობით ბანკის მიერ დადგენილი ფორმატით, როგორც მატერიალური ისე ელექტრონული ფორმით, ასევე ბანკის დამატებითი თანხმობის შემთხვევაში ინტერნეტბანკის საშუალებით. ხოლო სხვა ნებისმიერი სავალუტე გარიგებების შემთხვევაში განაცხადის წარდგენა შესაძლებელია მოხდეს როგორც წერილობით, ისე ელექტრონული ან სიტყვიერი (მათ შორის სატელეფონო) კომუნიკაციის ფორმით (ელ.ფოსტა, Bloomberg ჩეთი(კომუნიკატორი), მყისიერი შეტყობინებები და ა.შ.)
- 3.4 განაცხადის წარდგენასთან ერთად კლიენტი ვალდებულია საკუთარ ანგარიშზე განათავსოს/ჰქონდეს განთავსებული შესაბამისი განაცხადით შეთავაზებული (ასეთის არსებობისას) უზრუნველყოფის და საკომისიოს თანხები.
- 3.5 ბანკი განაცხადის/დავალების წარმოდგენის საბანკო დღის ბოლომდე განიხილავს მას და დაკმაყოფილების შემთხვევაში კლიენტს ამ პირობებით შეთანხმებული კომუნიკაციის საშუალებით დაუდასტურებს სავალუტო გარიგების პირობებზე თანხმობას, რაც განიხილება აღნიშნული პირობებით ბანკსა და კლიენტს შორის სავალუტო გარიგების დადებამდე. ბანკი ასევე უფლებამოსილია შესთავაზოს კლიენტს მის მიერ განაცხადით წარმოდგენილი პირობებისგან განსხვავებული პირობებით გარიგების დადება/განაცხადის კორექტირება. თუ კლიენტი ამ პირობებით დადგენილი წესით ადასტურებს ასეთ შეთავაზებას, განაცხადი ბანკის მიერ დადასტურებულად დადებულად ჩაითვლება ამგვარი (მოდფიცირებული) პირობებით.
- 3.6 ბანკის მიერ განაცხადის დაუდასტურებლობის (მათ შორის თანხმობის/უარის განუცხადებლობის) შემთხვევაში, გარიგება დადებულად არ ჩაითვლება.
- 3.7 სავალუტე გარიგების დადებისას ბანკს კლიენტთან კომუნიკაციის პროცესში შეუძლია გააცნოს მას ბაზრის ზოგადი ტენდენციები, მიაწოდოს სავალუტო ბაზარზე არსებული ზოგადი ინფორმაცია, კონფიდენციალურობის დაცვით, რაც არ იძლევა კონკრეტული სუბიექტის ან კონკრეტული გარიგების იდენტიფიცირების საშუალებას.
- 3.8 კლიენტის მიერ ბანკთან სავალუტო გარიგებების დადება არ ზღუდავს კლიენტს იგივე მომსახურება მიიღოს ბაზრის სხვა მონაწილისგან არც გარიგების დადების მომენტში და არც მის შემდეგ.
- 3.9 აგენტის როლში კლიენტთან ურთიერთობისას, დავალების მიცემის (order) ან გარიგების პირობების შეთავაზების (request for quote) მოთხოვნის გაგზავნის მომენტსა და იმ პერიოდს შორის, როდესაც მიღება დადასტურდება ბაზრის მონაწილის მიერ, კლიენტი არის იმ რისკის წინაშე, რომ მისი შეკვეთის ან ვაჭრობის მოთხოვნა შესაძლოა მთლიანად არ შეივსოს (მათ შორის, იმ შემთხვევაშიც თუ ბაზარზე ცვლილება მოხდა კლიენტის სასარგებლოდ), ან შეიძლება შევსებული იყოს ნაკლებად ხელსაყრელ დონეზე, რადგან დროის ამ შუალედში შეიცვალა ბაზარზე არსებული მდგომარეობა.
- 3.10 კლიენტის დავალების მიღება ბანკსა მონაწილესა და კლიენტს შორის შეთანხმებული ელექტრონული საშუალების მეშვეობით. როდესაც კლიენტი ბანკს გადასცემს სავაჭრო დავალებას Bloomberg- ის ელექტრონულ პლატფორმაზე გარიგების დასადებად, ბანკმა უნდა დაიცვას კლიენტთან შეთანხმებული პროცედურები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ვაჭრობის წესებს და პლატფორმის ფუნქციონირებას.
- 3.11 ბანკი უფლებამოსილია აწარმოოს წინარე ჰეჯირება ისე, რომ არ ქონდეს გამიზნული კლიენტისთვის ზიანის მიყენება ან / და ბაზრის ნორმალური ფუნქციონირების შეფერხება (ხელოვნური მერყეობის შექმნა).
- 3.12 კლიენტთან კომუნიკაციისას ბანკი ვალდებულია მას მიაწოდოს ინფორმაცია წინარე ჰეჯირებისა და მასთან ასოცირებული რისკების შესახებ, აგრეთვე იმ მატერიალური სარგებლის შესახებ, რომელიც შესაძლებელია კლიენტმა ამ ქმედებით მიიღოს. წინარე ჰეჯირებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს იმ

ფასზე, რომელიც ბაზრის მონაწილეს შეუძლია რომ შესთავაზოს კლიენტს ტრანზაქციისთვის დავალების შესასრულებლად არსებულ ლიკვიდობის გათვალისწინებით, რამაც შეიძლება ბაზრის მონაწილეს ან დამატებითი შემოსავალი მოუტანოს ან აზარალოს.

- 3.13 მიღებული განაცხადები სრულდება შეძლებისდაგვარად მითითებულ პარამეტრებში, სამართლიანად და გონივრულად, ბაზარზე მოქმედი გარემოებებიდან გამომდინარე. ან სხვაგვარად, ბანკის შიდა პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად, შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება სავალუტო დავალების მხოლოდ ნაწილობრივ შესრულებაზე. ასეთი გადაწყვეტილებები, როგორც კი ეს შესაძლებელი იქნება ეცნობებათ კლიენტებს.
- 3.14 თუ რამდენიმე იდენტური დავალებაა განთავსებული იმავე პროდუქტზე ან იმავე ვალუტის წყვილზე, მაშინ კლიენტის პრიორიტეტიზირება ხდება შეკვეთის განთავსების დროიდან გამომდინარე (first come first served- პრინციპით).

#### **მუხლი 4. ცალკეულ სავალუტო გარიგებებთან დაკავშირებული მხარეთა უფლება - მოვალეობები.**

##### **4.1 სავალუტო სვოპი**

- 4.1.1. დაკმაყოფილებული განაცხადის შესაბამისად, სვოტ ანგარიშსწორების დღეს, ბანკი კლიენტის უცხოური ვალუტის ანგარიშიდან კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე მოახდენს ვალუტის ჩამოწერას და მის ეროვნული ვალუტის ანგარიშზე შესაბამისი თანხის ჩარიცხვას შეთანხმებული სვოტ კურსით.
- 4.1.2. ფორვარდ ანგარიშსწორების დღეს, გარიგების პირობების შესაბამისად, ბანკი კლიენტის ეროვნული ვალუტის ანგარიშიდან კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე მოახდენს თანხის ჩამოწერას და უცხოური ვალუტის ანგარიშზე შესაბამისი თანხის ჩარიცხვას შეთანხმებული ფორვარდული კურსით. თუკი ფორვარდული ანგარიშსწორების დღე ემთხვევა არასაბანკო დღეს, ფორვარდული ანგარიშსწორება შესრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.
- 4.1.3. კლიენტი ვალდებულია სვოტ და ფორვარდული ანგარიშსწორების დღეს იქონიოს შესაბამისი თანხები საკუთარ ანგარიშზე, სავალუტო გარიგებით შეთანხმებული პირობებით ანგარიშსწორების განსახორციელებლად.
- 4.1.4. თუ კლიენტმა შესაბამის სავალუტო ანგარიშზე სვოტ ანგარიშსწორების დღის 15:00 საათამდე ვერ უზრუნველყო ანგარიშსწორებისათვის საკმარისი თანხის არსებობა, სავალუტო გარიგება უქმდება.
- 4.1.5. იმ შემთხვევაში თუ კლიენტის ანგარიშზე ფორვარდ ანგარიშსწორების დღის 15:00 საათამდე არ აღმოჩნდა კონვერტაციის შესასრულებლად საკმარისი თანხა, კლიენტს დაეკისრება ჯარიმა უზრუნველყოფის თანხის ოდენობით, ამასთან თუ კლიენტის ანგარიშზე ფორვარდ ანგარიშსწორების დღის შემდეგი საბანკო დღის 15:00 საათამდეც არ აღმოჩნდა საკმარისი თანხა, ბანკი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება/ან და შესაბამისი სავალუტო გარიგება და მოითხოვოს არსებული დავალიანების (შესრულებული ანგარიშსწორების თანხა) სრულად დაფარვა. ამასთან, დავალიანების თანხას ყოველდღიურად, პირგასამტეხლოს სახით დაერიცხება დავალიანების თანხის 0,5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

##### **4.2 სავალუტო ფორვარდი**

- 4.2.1 დაკმაყოფილებული განაცხადის შესაბამისად, ფორვარდული ანგარიშსწორების დღეს, კლიენტის ანგარიშზე საკმარისი ნაშთის არსებობის შემთხვევაში, ბანკი კლიენტის ანგარიშიდან მისი დამატებითი თანხმობის გარეშე მოახდენს თანხების ჩამოწერას და შესაბამისი ვალუტის ჩარიცხვას შეთანხმებული ფორვარდული კურსით სავალუტო ფორვარდის გარიგების პირობების შესაბამისად. თუკი ფორვარდული ანგარიშსწორების დღე ემთხვევა არასაბანკო დღეს, ფორვარდული ანგარიშსწორება შესრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.
- 4.2.2 კლიენტი ვალდებულია ფორვარდული ანგარიშსწორების თარიღზე იქონიოს შესაბამისი თანხები საკუთარ ანგარიშზე ბანკში გარიგებით შეთანხმებული პირობებით ანგარიშსწორების განსახორციელებლად.

- 4.2.3 იმ შემთხვევაში თუ კლიენტის ანგარიშზე ფორვარდ ანგარისწორების დღის 15:00 საათამდე არ აღმოჩნდა საკმარისი თანხა ანგარიშსწორების განსახორციელებლად, კლიენტს დაეკისრება ჯარიმა უზრუნველყოფის თანხის ოდენობით, ამასთან, ბანკი უფლებამოსილი იქნება არ შეასრულოს ანგარიშსწორება.
- 4.2.4 იმ შემთხვევაში თუ ფორვარდული ანგარიშსწორების დღის 15:00 საათამდე კლიენტის ანგარიშზე საკმარისი ნაშთის არარსებობის მიუხედავად ბანკი მაინც შეასრულებს ანგარიშსწორებას და კლიენტის ანგარიშზე ფორვარდული ანგარიშსწორების დღის შემდეგი საბანკო დღის 15:00 საათამდე არ აღმოჩნდება ფორვარდული ანგარიშსწორებისთვის საკმარისი თანხა, ბანკი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება/ან და შესაბამისი სავალუტო გარიგება და მოითხოვოს არსებული დავალიანების (შესრულებული ანგარიშსწორების თანხა) სრულად დაფარვა. ამასთან, დავალიანების თანხას ყოველდღიურად, პირგასამტეხლოს სახით დაერიცხება დავალიანების თანხის 0,5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
- 4.2.5 თარიღის არჩევით სავალუტო ფორვარდის შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით ბანკს წერილობით აცნობოს ფორვარდული ანგარიშსწორების დღე, ასეთ თარიღამდე არანაკლებ ერთი საბანკო დღით ადრე.

### **მუხლი 5 უზრუნველყოფა**

- 5.1 სავალუტო სვოპის ან სავალუტო ფორვარდის გარიგების უზრუნველსაყოფად ბანკი უფლებამოსილია კლიენტის ანგარიშიდან კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე ჩამოჭრას უზრუნველყოფის თანხა შესაბამისი განაცხადით განსაზღვრული ოდენობით. აღნიშნული თანხა განთავსდება (დარეზერვდება) ბანკის შიდასაბანკო ანგარიშზე.
- 5.2 სავალუტო გარიგების დადების თარიღში არსებული გარიგების ვალუტების გაცვლითი კურსების 5%-ით ან მეტით ცვლილების შემთხვევაში, რის შედეგადაც სავალუტო გარიგების დადების თარიღთან შედარებით იზრდება შესაბამისი გარიგების შესასრულებლად კლიენტის მიერ ფორვარდული ანგარიშსწორების თარიღში ბანკისთვის გადასახდელი თანხის ოდენობა, უზრუნველყოფის თანხის ოდენობა გაიზრდება იმ ოდენობით, რაც საჭირო იქნება თავდაპირველი უზრუნველყოფის პროპორციის დასაცავად. ასეთ შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია ბანკის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს შემდეგი სამუშაო დღისა, დამატებით წარმოადგინოს უზრუნველყოფის თანხა და სავალუტო გარიგების მოქმედების ვადაში მუდმივად უზრუნველყოს დადგენილი თანაფარდობის დაცვა.
- 5.3 უზრუნველყოფის თანხა რეალიზებულ პროცენტთან ერთად (ასეთზე შეთანხმებისას) კლიენტს დაუბრუნდება მის მიმდინარე ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით ფორვარდული ანგარიშსწორების განხორციელებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღეს, ამასთან უზრუნველყოფის თანხის დაბრუნების ვალდებულება არ წარმოემოხება კლიენტის მიერ ამ ხელსეკრულებით ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში.
- 5.4 იმ შემთხვევაში თუკი არ შესრულდება ფორვარდული ანგარიშსწორება ან/და უზრუნველყოფის თანხა მიემართება ამ ხელშეკრულებით დადგენილი რომელიმე ვალდებულების უზრუნველსაყოფად, უზრუნველყოფის თანხაზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება.

### **მუხლი 6. დავალიანების, პირგასამტეხლოს გადახდის წესი, თანხების უაქცეპტო წესით მიღება.**

- 6.1 კლიენტი ეთანხმება, რომ მის მიერ ბანკისთვის გადახდილი თანხებიდან პირველ რიგში იფარება პირგასამტეხლო, მისი არსებობისას, შემდეგ საკომისიო, და ბოლოს ვალდებულების თანხა. ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ შეცვლოს ამ პუნქტით დადგენილი რიგითობა.
- 6.2 ბანკი უფლებამოსილია, ხოლო კლიენტი თანახმაა, ბანკმა უაქცეპტო წესით, კლიენტის თანხმობისა და მისთვის შეტყობინების გარეშე ჩამოჭრას, მიიღოს, გადარიცხოს ბანკის წინაშე კლიენტის არსებული/წარმოშობილი ნებისმიერი ვალდებულების დასაფარად მისაღები საკომისიო, ჯარიმა, პირგასამტეხლო (არსებობისას), დავალიანების თანხა თუ სხვაგვარი ვალდებულება და ამისთვის

გამოიყენოს კლიენტის ნებისმიერი საბანკო ანგარიშის ნაშთი, მისაღები თანხები, ანაზარი ან/და დეპოზიტი და მასზე დარიცხული პროცენტი.

- 6.3 კლიენტი თანახმაა, ხოლო ბანკი უფლებამოსილია, კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან უაქცეპტოდ (კლიენტის თანხმობის გარეშე) ჩამოაჭრას საბანკო ანგარიშ(ებ)იდან ბანკისთვის გასახდელი ნებისმიერი თანხა, როგორც დავალიანების არსებობისას ისე კონკრეტული ვალდებულების დაფარვის დღეს. ამასთან, ნებისმიერი გადასახდელის ჩამოჭრისას, შესაბამისი ვალუტის არარსებობის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ, ბანკში ჩამოჭრის დღეს ბანკის კომერციული გაცვლითი კურსით მოახდინოს შესაბამისი თანხის კონვერტაცია და მიიღოს არსებული ვალდებულების ვალუტის შესაბამისი თანხა
- 6.4 თუ კლიენტის დავალება გაუქმდა სრულად ან ნაწილობრივ, გაუქმებული ნაწილის შესაბამის თანხას ბანკი დააბრუნებს კლიენტის ანგარიშზე არაუგვიანეს: ა) განაცხადის გაუქმების დღეს, თუ გაუქმება მოხდა სამუშაო საათებში. ბ) განაცხადის გაუქმების დღის მომდევნო სამუშაო დღეს, თუ გაუქმება მოხდა სამუშაო საათების შემდეგ.

### **მუხლი 7. ფასადების პოლიტიკა**

- 7.1 ბანკი ფასადებისას ითვალისწინებს ისეთი ფაქტორებს, როგორცაა არსებულ ბაზარზე ტრანზაქციის ტიპის ლიკვიდობა, გარიგების ზომა ან / და სირთულე, საკრედიტო ხარჯები, ბალანსის უწყისი და კაპიტალი, რისკის ლიმიტი, ვაჭრობის საპროცესო ხარჯები, გაყიდვების მცდელობები და სხვა რელევანტური საკითხები. ვინაიდან ეს ფაქტორები შეიძლება განსხვავდებოდეს, ბანკმა შეიძლება შესთავაზოს განსხვავებული ფასები სხვადასხვა კლიენტს იმავე ან მსგავსი სავალუტე გარიგების დროს.

### **მუხლი 8. კომუნიკაცია**

- 8.1 თუ ამ პირობებით ან ბანკთან შეთანხმებით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული კლიენტი ბანკთან კომუნიკაციას ახორციელებს წერილობით.
- 8.2 ბანკი უფლებამოსილია შეტყობინება გაუზიაროს კლიენტს ერთ-ერთ ჩამოთვლილი საშუალებების გამოყენებით:
- წერილობით - ბანკისთვის კლიენტისმიერ მიწოდებულ ან სხვა ცნობილ მისამართზე წერილის გაგზავნის გზით. ამასთან ბანკი უფლებამოსილია მოიძიოს კლიენტის ალტერნატიული მისამართი (სამოქალაქო / სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული ან სხვა) და გააგზავნოს მოძიებულ მისამართზე შეტყობინება. წერილობით შეტყობინების ჩაბარებისას ბანკი უფლებამოსილია ჩააბაროს შეტყობინება გაგზავნილ მისამართზე მყოფ ნებისმიერ პირს, მიუხედავად შეტყობინების შინაარსისა;
  - ელექტრონული ფორმით - ბანკისთვის ცნობილ ელექტრონულ მისამართზე ან კლიენტის ინტერნეტ ბანკის საშუალებით შეტყობინების გაგზავნის გზით;
  - სატელეფონო საშუალებით - კლიენტის მიერ ბანკისთვის მიწოდებულ სატელეფონო ნომერზე ან/და ბანკის მიერ მოძიებული ალტერნატიული სატელეფონო ნომრის გამოყენებით შეტყობინების გადაცემისას.
- 8.3 ამ მუხლის მიზნებისთვის შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, ან თავს აარიდებს მის მიღებას, ან შეუძლებელი იქნება შეტყობინების გადაცემა ადრესატის ადგილზე ერთ შემთხვევაზე მეტჯერ არყოფნის გამო.
- 8.4 კლიენტი ვალდებულია ხუთი (5) სამუშაო დღის განმავლობაში შეატყობინოს ბანკს რეგისტრირებული ან ფაქტობრივი მისამართის, ელექტრონული ფოსტის, ტელეფონის ნომრის ან/და რეგისტრაცია-სავალდებულო ფაქტების ცვლილებების შესახებ. ბანკი ვიდრე არ მიიღებს კლიენტის შეტყობინებას, ნებისმიერი შეტყობინებისთვის და კორესპონდენციისთვის გამოიყენებს იმ ინფორმაციას, რაც მისთვის ცნობილია კლიენტისგან.

8.5 კლიენტი ვალდებულია მუდმივად ქონდეს ჩართული ხელშეკრულებასი მითითებული ტელეფონის ნომრები და უზრუნველყოფ ელექტრონული ფოსტის გამართული ფუნქციონირება.

### **მუხლი 9 -მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა**

- 9.1 წინამდებარე პირობები რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 9.2 ნებისმიერი დავა, წინააღმდეგობა ან საჩივარი, რომელიც წარმოიშობა ან შეეხება ამ პირობებს ან ამ პირობების ნებისმიერ დარღვევას, გადაწყდება მხარეებს შორის მოლაპარაკების საფუძველზე.
- 9.3 დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს ბანკის ადგილსამყოფელის მიხედვით.

### **მუხლი 10-მოქმედების ვადა**

- 9.4 ეს პირობები ძალაში შევა მას შემდეგ, რაც კლიენტი ბანკს წარუდგენს მომსახურების განაცხადს, ან/და ისარგებლებს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული მომსახურებით.
- 9.5 პირობები მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით, თუ იგი შეწყვეტილი არ იქნება ამ პირობებით დადგენილი წესით.
- 9.6 ბანკს სეწყვეტიოს ამ პირობებით განსაზღვრული მომსახურება ნებისმიერ დროს. ასეთ შემთხვევაში ბანკი კლიენტს გაუგზავნის შესაბამის შეტყობინებას ამ პირობებით შეთანხმებული ფორმით.
- 9.7 კლიენტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს უარი თქვას კონკრეტული მომსახურებით/პროდუქტით სარგებლობაზე ბანკისთვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, იმ პირობით რომ კლიენტი სრულად დაფარავს შეწყვეტამდე წარმოშობილ დავალიანებას.

### **მუხლი 10 - ცვლილებები**

- 10.1 ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები წინამდებარე პირობებში და აღნიშნულის შესახებ ბანკი კლიენტის ინფორმირებას მოახდენს ცვლილებების ძალაში შესვლამდე ერთი თვით ადრე. ამ პირობებით გათვალისწინებული კომუნიკაციის წესით; რა შემთხვევაშიც კლიენტი უფლებამოსილია ბანკის მიერ ინფორმაციის ამ პირობებით დადგენილი წესით მიწოდებიდან მის ძალაში შესვლამდე სათანადო განაცხადის წარდგენით მოითხოვოს ამ პირობებით განსაზღვრული ყველა ან რომელიმე მომსახურების შეწყვეტა, რისთვისაც სრულად უნდა დაფაროს ბანკის წინაშე არსებული დავალიანება (არსებობისას). წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკის შეთავაზებული ცვლილებები მიჩნეული იქნება კლიენტის მიერ მიღებულად;
- 10.2 პირობების ცვლილება დაუყოვნებლივ, კლიენტის წინასწარი ინფორმირების გარეშე შედის ძალაში თუ:
  - ა) პირობებით განსაზღვრული მომსახურების ცვლილება ხორციელდება კლიენტის სასარგებლოდ;
  - ბ) პირობებში ხორციელდება ახალი მომსახურების, პროდუქტის დამატება, ან არსებულის/ჩანაცვლება.

### **მუხლი 11 -დასკვნითი დებულებები**

- 11.1 ამ პირობებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა ბანკსა და კლიენტს შორის იგივე საგანთან დაკავშირებით ყველა სხვა ადრე გაფორმებულ ხელშეკრულებების ან გარიგებების პირობებთან მიმართებაში.
- 11.2 პირობებში მხოლოდით რიცხვში გამოყენებული სიტყვები გულისხმობს მრავლობითს და პირიქით;
- 11.3 პირობებით თითოეული მხარის მიერ წარმოშობილი ვალდებულებები ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლებების თუ მემკვიდრეებისათვის/ვის/სამართალმემკვიდრეებისათვის;



- 11.4 კლიენტს უფლება არ აქვს ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე მესამე პირს გადასცეს ან გადააბაროს მასზე პირობებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება. ამასთან, არ გამორიცხავს ბანკის უფლებას, მიიღოს მესამე პირისაგან შემოთავაზებული შესრულება, მიუხედავად იმისა თანახმაა თუ არა კლიენტი;
- 11.5 ბანკს უფლება აქვს, კლიენტის თანხმობის გარეშე, მესამე პირს მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს წინამდებარე პირობებით შექმნილი ნებისმიერი უფლება;
- 11.6 პირობები შედგენილია ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პირობების არაქართულენოვანი ვერსია და ქართულ და არაქართულ ვერსიებს შორის აღმოჩნდება წინააღმდეგობა, უპირატესობა მიენიჭება ქართულ ვერსიას;
- 11.7 კლიენტის მიერ ხელშეკრულებიდან ან/და კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, ბანკის მიერ ამგვარი უფლებ(ებ)ის გამოუყენებლობა არ წარმოადგენს შემდგომში ხელშეკრულების ან/და კანონმდებლობის დარღვევის შედეგად წარმოშობილ მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმას.

**სავალუტო სვოპის განაცხადი**

ვის: სს ტერაბანკს ს.ნ 204546045

**განმცხადებელი:**

დასახელება/სახელი, გვარი:	
საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი:	
რეგისტრირებული მისამართი	
ფაქტობრივი მისამართი:	
წარმოდგენილი შემდეგი უფლებამოსილი პირის მიერ:	
სახელი, გვარი:	
პირადი ნომერი:	
თანამდებობა/სტატუსი:	
რეგისტრირებული მისამართი:	
ფაქტობრივი მისამართი:	
ტელეფონი:	
ელფოსტა:	
მინდობილობა:	დამოწმებული ---,---,--- წ., ნომერი #-----, ნოტარიუსი ----

**სვოპ გარიგების პირობები**

გარიგების ვალუტა:	
<b>ბანკის მიერ ლარის კლიენტზე მიყიდვის პირობები - სპოტი:</b>	
(ა) სპოტ კურსი:	
(ბ) სპოტ ანგარიშსწორების თარიღი:	
(გ) სპოტ ანგარიშსწორების თანხა:	
(დ) სპოტის ექვივალენტი ლარში (სპოტის ანგარიშსწორების თანხა გამრავლებული სპოტის კურსზე):	
<b>ბანკის მიერ კლიენტისგან ლარის გამოსყიდვის პირობები - ფორვარდი:</b>	
ა) ფორვარდული კურსი:	
(ბ) ფორვარდული ანგარიშსწორების დღე:	
(გ) ფორვარდული ანგარიშსწორების თანხა:	
(დ) ფორვარდის ექვივალენტი ლარში (ფორვარდული ანგარიშსწორებით თანხა გამრავლებული ფორვარდულ კურსზე):	
<b>უზრუნველყოფა:</b>	
(ა) უზრუნველყოფის თანხა:	
(ბ) უზრუნველყოფის პროცენტი	
(გ) უზრუნველყოფის თანხაზე დასარიცხი პროცენტი (ასეთის არსებობისას)	
<b>პირგასამტეხლო</b>	დავალიანების თანხის 0,5% ყოველ ვადაგადაცელებულ დღეზე.

წინამდებარე განაცხადის ხელმოწერით ვეთანხმები და ვადასტურებ ზემოაღნიშნული პირობებს, და ასევე ბანკის სავალუტო გარიგების მომსახურების წესებს და პირობებს

თარიღი:	
ხელმოწერა:	
სახელი და გვარი გარკვევით და სრულად:	

**სავალუტო ფორვარდის განაცხადი**

ვის: სს ტერაბანკს ს.ნ 204546045

**განმცხადებელი:**

დასახელება/სახელი, გვარი:	
საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი:	
რეგისტრირებული მისამართი	
ფაქტობრივი მისამართი:	
წარმოდგენილი შემდეგი უფლებამოსილი პირის მიერ:	
სახელი, გვარი:	
პირადი ნომერი:	
თანამდებობა/სტატუსი:	
რეგისტრირებული მისამართი:	
ფაქტობრივი მისამართი:	
ტელეფონი:	
ელფოსტა:	
მინდობილობა:	დამოწმებული --.--.-- წ., ნომერი #-----, ნოტარიუსი ----

**ფორვარდული გარიგებების პირობები**

ფორვარდის ვალუტა:	
ფორვარდის თანხა:	
ფორვარდული კურსი:	
ფორვარდული ანგარიშსწორების დღე:	<b>არ ივსება თარიღის არჩევით სავალუტო ფორვარდის შემთხვევაში</b>
ფორვარდული გარიგების ვადა:	<b>ივსება მხოლოდ თარიღის არჩევით სავალუტო ფორვარდის შემთხვევაში</b>
ფორვარდის თანხის შემენის ექვივალენტი თანხა:	
ფორვარდის თანხის შემენის ექვივალენტი ვალუტა:	
უზრუნველყოფის თანხა:	
უზრუნველყოფის პროცენტი:	
უზრუნველყოფის თანხაზე დასარიცხი პროცენტი (ასეთის არსებობისას)	
<b>პირგასამტეხლო</b>	დავალიანების თანხის 0,5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

წინამდებარე განაცხადის ხელმოწერით ვეთანხმები და ვადასტურებ ზემოაღნიშნულ პირობებს, და ასევე ბანკის სავალუტო გარიგების მომსახურების წესებს და პირობებს

თარიღი:	
ხელმოწერა:	
სახელი და გვარი გარკვევით და სრულად:	